



სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ

მეცნიერებებში

№2, ივლისი, 2017

Student
Journal of
Social Sciences

**ბუნებრივ გარემოსთან დაკავშირებული დაპირისპირება გარემოს
დამცველებსა და ქალაქ თბილისის მერიას შორის**

მირანდა მიქაძე

კონფლიქტების ანალიზი და მართვის სამაგისტრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ელფოსტა mimikadze@gmail.com

აბსტრაქტი

თანამედროვე ევროპული ტიპის დემოკრატიული საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი წამყვანი პრიორიტეტია ყოველი ადამიანისათვის ჯანსაღი, სუფთა და უსაფრთხო გარემო, რომელიც ჰარმონიულად შეუხამებს ურთიერთს ამჟამინდელი და მომავალი თაობების ინტერესებსა და მოთხოვნილებებს, საზოგადოება, რომელიც ორიოდ ათწლეულში არ ამოწურავს საუკუნეებისთვის განკუთვნილ რესურსებს, რომელშიც ადამიანი კი არ იარსებებს სახელმწიფოსთვის, არამედ სახელმწიფო – ადამიანისათვის, სადაც ყოველ მოქალაქეს ექნება საკუთარი შესაძლებლობების სრულად გამოვლენის საშუალება.

კვლევის მიზანია არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ქალაქის ხელმძღვანელობას შორის არსებული კონფლიქტის ანალიზი ეკოლოგიური პრობლემის გადაჭრის მცდელობის კონტექსტში.

საკვანძო ცნებები: გარემოს დაცვა, კონფლიქტი

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში ადამიანისა და ბუნებრივი გარემოს ურთიერთობა წამყვანი გლობალური პრობლემების რიცხვს მიეკუთვნება. არ არსებობს საზოგადოება ან სახელმწიფო, რომელშიც ეს ურთიერთობა სრულად მოგვარებული იყოს. თუმცა რა თქმა უნდა ზოგ ქვეყანაში ეს პრობლემა უფრო მკვეთრად არის გამოკვეთილი. ადამიანისა და ბუნებრივი გარემოს ურთიერთობის პროცესში წარმოშობილი პრობლემა განეკუთვნება წამყვანს სახელმწიფო პოლიტიკის თვალსაზრისით და მოითხოვს მაქსიმალურ ყურადღებას და ძალისხმევას მის გადასაჭრელად.

საქართველო ამ სიტუაციაში გამონაკლის არ წარმოადგეს. ჩვენთან ეს პრობლემა ისევე მწვავედ დგას, როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, თუმცა ოდნავ უფრო შერბილებულ ხასიათს ატარებს, ვიდრე ჩვენი მეზობელ კავკასიის სახელმწიფოებში. მიუხედავად ამისა, ეს არის ის პრობლემა, რომელიც სახელმწიფო უსაფრთხოების პრობლემების დონეზე გადადის და მოითხოვს ისეთივე ძალისხმევას და ყურადღებას, როგორც ამ ტიპის დანარჩენი პრობლემები (სახელმწიფო უშიშროება, თავდაცვა და ა.შ.).

საქართველოში გარემოს დაცვის პრობლემა სხვადასხვა სახით ვლინდება მისი ინტენსივობის ან უარყოფითი შედეგების შესაბამისად, მაგრამ ძირითადად ყველაზე მძიმედ აისახება ქალაქებში და განსაკუთრებით ქალაქ თბილისში, სადაც ყველაზე დიდია განსახლების სიმჭიდროვე და მცირეა მწვანე ნარგავების ფართობი, შესაბამისად ჰაერის, ხმაურის და სინათლის დაბინძურების დონე თბილისში ბევრად სჭარბობს ნებისმიერ სხვა ადგილს საქართველოში. გარდა გამონაკლისი ქალაქებისა, როგორც არის ზესტაფონი ან ჭიათურა. ბუნებრივ გარემოზე საზოგადოების გავლენის უარყოფითი შედეგების კონცეტრაციის თვალსაზრისით თბილისი წამყვან ადგილს იკავებს საქართველოში, იმის გათვალისწინებით, რომ ქალაქში ცხოვრობს საქართველოს მოსახლეობის მესამედზე მეტი. შესაბამისად ქალაქის მოსახლეობა და ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელიც მოსახლეობის ინტერესს გამოხატავენ (ან აცხადებენ, რომ მოსახლეობის ინტერესს გამოხატავენ) რეაგირებენ არსებული მდგომარეობაზე, ეძებენ არსებული მდგომარეობის შექმნაში დამნაშავეებს და პასუხს სთხოვენ მათ. პრაქტიკულად ეს გამოიხატება იმ დამატებულ სიტუაციაში, რომელიც ხშირად იქმნება განსაკუთრებით რიგ გარემოს დამცველებისა და ქალაქის ხელმძღვანელობას (მერიას) შორის. ესეთი არასამთავრობო ორგანიზაციები გამოდიან მოსახლეობის (რეალური თუ მოჩვენებითი) უკმაყოფილების გამოხატვის ინსტრუმენტის როლში. შესაბამისად საინტერესოა იმის შესწავლა ესეთ ორგანიზაციებისა და ქალაქის ხელმძღვანელობას შორის შექმნილი ხილული დაპირისპირება რამდენად წარმოადგენს: 1) რეალურ პრობლემის გადაჭრის მცდელობას; 2) ამ ორგანიზაციებს მცდელობას მიიპყროს ყურადღება თავისი საქმიანი ეკოლოგიური პრობლემების საბაზად გამოყენების გზით; 3) რამდენად ესმის ქალაქ თბილისის ხელმძღვანელობას ამ არასამთავრობო ორგანიზაციებთან არსებული კონფლიქტების არსი და ახდენს თუ არა მასზე სწორ რეაგირებას.

კვლევის მეთოდოლოგია

წარმოდგენილი სტატიის მიზანია შვეისწავლოთ გარემოსდაცვით საკითხების გარშემო რა ტიპის ურთიერთობები და კონფლიქტები გვხვდება მერიის სამსახურსა და გარემოს დამცველებს შორის. სტატიის ამოცანებია შემდეგი საკითხების შესწავლა: 1. როგორ ხდება საქართველოში ზოგადად გარემოსდაცვითი საკითხების განხილვა და რა საკითხებზე ხდება აქცენტის გაკეთება; 2. რა ფაქტორები იწვევს გარემოს კონფლიქტების სპონტანურ წარმოშობას; 3. გარემოსდაცვით საკითხებზე რეაგირებისას რამდენად არის სტრატეგიულად გააზრებული და დაგეგმილი არასამთავრობო სექტორის ქმედებები; 4. რა ტიპის რეაგირების მექანიზმები აქვს სახელისუფლო სტრუქტურებს სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან განხორციელებულ ქმედებებზე; 5. როგორ ხდება გარემოსდაცვითი კონფლიქტის დარეგულირება. ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის ორი მეთოდი – დოკუმენტების ანალიზი და ექსპერტული ინტერვიუ.

დოკუმენტების ანალიზის ფარგლებში შევავსოვე და დავამუშავე: კონფლიქტებზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურა; გარემოსდაცვითი კონფლიქტების შესახებ სხვა ქვეყნის გამოცდილების ამსახველი სამეცნიერო სტატიები; საქართველოში გარემოსდაცვითი მდგომარეობის შესახებ სამართლებრივი აქტები, ანგარიშები და პოლიტიკაზე ორიენტირებული დოკუმენტები; გარემოსდაცვითი კონფლიქტების შესახებ მედია საშუალებებში ასახული ინფორმაცია (ბეჭდური პრესა და სატელევიზიო გამოსვლები).

ექსპერტული ინტერვიუსთვის მიზნობრივად შევარჩიე გარემოსდაცვით კონფლიქტში ჩართული მხარეები – რვა გარემოსდამცველი სამოქალაქო სექტორიდან („პარტიზანი მებაღეები“ და „მწვანელ ალტერნატივა“) და ორი მერიის სამსახურის წარმომადგენლი, ისევე როგორც გარემოსდაცვის დამოუკიდებელი ექსპერტი და კონფლიქტოლოგი. კვლევის შედეგად პასუხი გაეცემა ზემოთ დასმულ კითხვებს და საშუალება გვექნება გამოვკვეთოთ გარემოსდაცვითი კონფლიქტების მოგვარების სტრატეგიული გზები.

კონფლიქტების შესახებ თეორიული მსჯელობები

საზოგადოება კონფლიქტის გარეშე არ არსებობს. ყველაზე ზოგადი განმარტებით კონფლიქტი არის ორი ან მეტი მხარის შეხედულებების, ინტერესების დაპირისპირება, რაც შეიძლება იყოს რეალური ან წარმოსახული. კონფლიქტის ფუნქცია შესაძლებელია ორი სახით წარმოვიდგინოთ: დესტრუქციული, უარყოფითად აღქმული და მეორე კონსტრუქციული, პოზიტიურად აღქმული. ფუნქციური თვალსაზრისით კონფლიქტი საპირისპირო მიმართულებების ამსახველია. ადამიანები, ჯგუფები და სხვა, როდესაც დაპირისპირებულები არიან, ისინი იღწვიან საკუთარი მიზნების მიღწევისაკენ. შედეგი კი მსგავსი მისწრაფებისა, შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი. აქედან გამომდინარეობს კონფლიქტის პოზიტიური და ნეგატიური ფუნქცია. დესტრუქციული კონფლიქტი სოციალური სისტემების სხვადასხვა საფეხურზე იჩენს თავს, სადაც კონფლიქტი გამოირჩევა ძალადობრივი მეთოდებით. ასეთ დროს როგორც მატერიალური ზიანი ასევე მსხვერპლიც საკმაოდ დიდია. ასეთ დროს ეკონომიკური, პოლიტიკური, მორალური და სხვა სოციალური სისტემები განიცდის სტაგნაციას, კონფლიქტი კი ამის მთავარი მექანიზმია. კონსტრუქციული კონფლიქტის დროს შესაძლებლობა იჩენს თავს მხარეების მხრიდან გაცნობიერდეს ერთმანეთის ინტერესები, დაადგინონ ესკალაციის დონე და იწყება ფიქრი მოგვარების გზებზე. ხშირად, კონფლიქტის ამოსავალი წერტილი ხდება რაიმე მოვლენა თუ ამბავი ან ინფორმაცია, რომელიც შეიძლება იყოს ცრუ ან გაფუჭებული ტელეფონის პრინციპით გავრცელებული, რეალური მიზეზი კი აბსოლუტურად სხვა. კონფლიქტის ობიექტი, კონფლიქტში მონაწილე მხარეები და გარემო კონფლიქტის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენს. კონფლიქტის ობიექტი გულისხმობს მატერიალურ, ან სულიერ და სხვა ფასეულობებს, რის საფუძველზეც წარმოიშვა ინტერესების შეჯახება მხარეებს შორის. კონფლიქტის ობიექტი ყოველთვის შეზღუდულია, რადგან მხარეთა ინტერესებთან არის კავშირში. კონფლიქტის მხარეები გულისხმობს მონაწილეებს, რომლებიც მოქმედებენ საკუთარი ინტერესების განსახორციელებლად. კონფლიქტს გააჩნია თავისი გარემო, სადაც იგი მიმდინარეობს, რომელიც ფიზიკური, სოციალური და ფსიქოლოგიური სივრცეებისგან შედგება. გარემო შესაძლებელია იყოს როგორც ვრცელი, ასევე ლოკალური. გარემო კლასიფიცირდება როგორც „მინი“, ასევე „მაკრო“ ნიშნებით.

კონფლიქტი ასევე დიფერენცირდება ტიპებით. ვ. ლინკოლნი გამოყოფს ხუთი ტიპის კონფლიქტს. ესენია: ინფორმაციული კონფლიქტი, ინსტიტუციური კონფლიქტი, ღირებულებითი კონფლიქტი, ურთიერთდამოკიდებულებითი კონფლიქტი და ინტერესთა კონფლიქტი. ინფორმაციული კონფლიქტი გულისხმობს ისეთ კონფლიქტს, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის სიმცირესთან და სიჭარბესთან. ინფორმაცია თავისი ხარისხით და ოდენობით, რომელიც ერთი მხარისთვის მისაღებია, ხოლო მეორესთვის არა და იწვევს კონფლიქტის გამწვავებას, ესკალაციას. გარდა ამისა ინფორმაციის სიჭარბეც ერთ-ერთი მადეტერმინანტებელი ფაქტორია კონფლიქტის. სახელდობრ, ინფორმაციული კონფლიქტი გულისხმობს, რომ კონფლიქტში მონაწილე მხარეებს შეხება აქვთ და ხელი მიუწვდებათ სხვადასხვა საინფორმაციო წყაროებთან. ასეთი ტიპის კონფლიქტის გადაჭრას ხელს უწყობს სწორედ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაადვილება და გასაჯაროებაზე მუშაობა. ისეთი კონფლიქტები, რომლებიც დაკავშირებულია წესებთან, ნორმებთან და კანონებთან წარმოადგენს ინსტიტუციურ კონფლიქტებს. ამ ტიპის კონფლიქტის გადაჭრა ფიზიკურ, ინტელექტუალურ და მატერიალურ რესურსებს მოითხოვს. კონფლიქტის გადაჭრას ხელს უწყობს სტრუქტურულ ერთეულებს შორის შეთანხმებების არ დარღვევა და სიტუაციის საჯაროდ განხილვა. ამ ტიპის კონფლიქტები დაკავშირებულია კანონიერ ხელისუფლებასთან, ტრადიციებთან, მართვის სისტემასთან, ტექნიკურ ნორმატივებთან, პოლიტიკურ პარტიებთან და ა.შ. ღირებულებებთან დაკავშირებული კონფლიქტის დროს დაპირისპირებული მხარეები აყალიბებენ ისეთი სახის მსჯელობებს, რომელიც აბსოლუტურს უტოლდება, სადაც არ დათანხმება უღირს, ცუდ ქცევად და არასამართლიანად აღიქმება. ურთიერთდამოკიდებულებითი კონფლიქტი ემოციური ხასიათის მატარებელია. ამ სახის კონფლიქტების მოგვარება პირველ რიგში, ემოციების დარეგულირებას საჭიროებს. ამ სახის კონფლიქტი ფართოდ განიხილება. იგი ასევე მოიცავს იდენტიფიკაციას, რომელსაც ადამიანი ახდენს ჯგუფებთან, საზოგადოებასთან, ერთან, პარტიასთან და თემთან. რაც შეეხება ინტერესთა კონფლიქტს, იგი დაკავშირებულია ქცევებთან და მოთხოვნებთან. თუ მოთხოვნების მოჩვენებითობა და რეალურობა თანხვედრაში არ მოდიან ერთმანეთთან ეს წარმოშობს კონკურენციას, რაც ნეგატიურ ფონს ქმნის და ცუდ შედეგამდე მივყავართ. საჭიროა მხარეთა შორის იყოს ინტერესთა შესატყვისობა, რაც კონფლიქტის მოგვარებას შეუწყობს ხელს. კონფლიქტის დროს შესაძლებელია ხუთივე ტიპის კონფლიქტიდან რამდენიმემ ერთად იჩნოს თავი. არსებობს ისეთი ხასიათის კონფლიქტიც,

სადაც ხუთივე ტიპის არსებობაა შესაძლებელი. კონფლიქტი ხასიათდება დინამიკით, რაც გამოიხატება ესკალაცია და დეესკალაციის სახით. კ.ტომასმა (Thomas, 1992) შეიმუშავა ხუთი ქცევის სტრატეგია კონფლიქტში: კონკურენცია, განრიდება, თანამშრომლობა, შეგუება, კომპრომისი.

კონკურენციის სტრატეგია გულისხმობს შეჯიბრს, ბრძოლას და სხვა. სადაც ერთი მხარე დომინირებს და ცდილობს გაანადგუროს მეორე მხარე. ამ სტრატეგიის პრინციპია „მე უნდა გავიმარჯვო, შენ დამარცხდე.“ განრიდების სტრატეგია, სხვაგვარად პრობლემისგან გაქცევის სტრატეგიადაც მიიჩნევა. ამ დროს, რომელიმე ერთი მხარე ცდილობს არ ითანამშრომლოს, მას არ აინტერესებს მიზანი, უბრალოდ ცდილობს გაიქცეს კონფლიქტიდან. აქტიურდება განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კონფლიქტის ესკალაცია ძალიან მაღალია. თანამშრომლობის სტრატეგიაში გათვალისწინებულია და ფოკუსი კეთდება მიზნებზე. აქ, მხარეები მოლაპარაკების საფუძველზე იღებენ გადაწყვეტილებებს და თანხმდებიან. ორივე მხარე ორიენტირებულია ერთმანეთის ინტერესები დაკმაყოფილდეს. შეგუების სტრატეგია, ასევე დათმობის სტრატეგია. აქ ურთიერთობაზე გაკეთებული აქცენტი ჩრდილავს მიზნებს, სადაც ერთი მხარე მზად არის დათმოს ინტერესები, სანაცვლოდ კი შეინარჩოს მეორე მხარის ურთიერთობა და კეთილგანწყობა. კომპრომისის სტრატეგიის შემთხვევაში ორიენტაცია კეთდება რესურსების თანაბარ გადანაწილებაზე, პარიტეტზე, რომელიც ორივე მხარისთვის მნიშვნელოვანია. ამ შემთხვევაში მოქმედებს შემდეგი პრინციპი: „რამე რომ მივიღოთ, თითოეულმა რაღაც უნდა დავთმოთ“. ამ სტრატეგიის გამოყენებისას ძირითადად მხარეები კმაყოფილები არიან (კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა, 2011).

მერიასა და გარემოსდამცველებს შორის ვხვდებით კონფლიქტების ტიპებს: ინფორმაციულს, ურთიერთდამოკიდებულებითი, ინტერპერსონალური და პიროვნებასა და ჯგუფს შორის კონფლიქტებს, მერიის სამსახური ხშირად ირჩევს განრიდების სტრატეგიას ისინი ცდილობენ გაიქცნენ კონფლიქტიდან. კონფლიქტი აქტიურდება განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ესკალაცია ძალიან მაღალია. გარემოსდამცველები თანამშრომლობის სტრატეგიას ირჩევს მხარე ცდილობს ითანამშრომლოს, როდესაც მხარეები მოლაპარაკების საფუძველზე იღებენ გადაწყვეტილებებს და თანხმდებიან.

თბილისის ეკოლოგიური მდგომარეობა

ეკოლოგიური პრობლემები 21-ე საუკუნის გლობალურ პრობლემებად სახელდება და ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი. ბუნებრივ გარემოს პრობლემებით მნიშვნელოვნად გამოირჩევა საქართველოს დედაქალაქი თბილისი, სადაც ტრანსპორტის, მწვანე საფარის განადგურების, შეჩერებული და არასწორი არქიტექტურული ნაგებობებით და მოსახლეობის სიმრავლის გამო ჰაერის დაბინძურების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აღინიშნება. ბოლო დროის გამოკვლევების შედეგებმა ცხადყო, რომ თბილისი ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე დაბინძურებული ქალაქია. „ეისითის“ კვლევის მიხედვით, ათიდან რვა თბილისელი (77%) თვლის, რომ თბილისში ეკოლოგიურად ცუდი ან ძალიან ცუდი მდგომარეობაა. ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ რესპონდენტების უმრავლესობა (62%) ბოლო 10 წლის განმავლობაში ქალაქში გარემოს მდგომარეობის გაუარესებას ამჩნევს (TTIMES.GE, 2015).

ექსპერტული ინტერვიუების მიმდინარეობისას თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურის წარმომადგენლებიც საუბრობენ დღესდღეობით ქალაქში არსებულ მრავალ გარემოსდაცვით პრობლემაზე, რომელთა შორისაა - ტყეების, საყოფაცხოვრებო ნარჩენების, ჰაერის დაბინძურებისა და გამწვანების საკითხები. მათი თქმით, მიმდინარეობს აქტიური მუშაობა ამ პრობლემების გასაუმჯობესებლად და 2017 წლის იანვრიდან ამოქმედდება ეტაპობრივად. ამ პროცესს აჩქარებს ასოცირების ხელშეკრულებაც, რომლის ერთ-ერთი პრიორიტეტი გარემოს დაცვაა (მწვანე ალტერნატივა, 2013).

თბილისის მერიის წარმომადგენელთა თქმით, სატრანსპორტო საშუალებებით გამოწვეული ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მოცულობა რამდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული და მათ შორის, ერთერთი მნიშვნელოვანი საწვავის ხარისხია. მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის თვისობრივი და რაოდენობრივი ცვლილება განპირობებულია მოხმარებული საწვავის სახეობით, ხარისხითა და რაოდენობით. საწვავში შემავალ ეკოლოგიურ მახასიათებლებზე (ტყვიის, ბენზოლის, არომატული ნახშირწყალბადების, გოგირდის და ა.შ შემცველობა) მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული გამონაბოლქვის რაოდენობა და ტოქსიკურობა.

ჰაერის დაბინძურებაზე ასევე მიუთითებს მტვრის კონცენტრაცია. ეკოლოგიის სამსახურის განცხადებით თბილისში მტვრის კონცენტრაცია ათჯერ და მეტჯერ მაღალია დასაშვებ ზღვართან შედარებით. მათი თქმით, ამის გამოწვევი ერთ-ერთი მიზეზი მშენებლობებია. მშენებლობით გამოწვეულ მტვრის გავრცელების მინიმიზაციის მიზნით უნდა განხორციელდეს გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონიძიებები, მაგალითად, გამოყენებული უნდა იყოს მშენებლობისთვის განკუთვნილი შენობების სპეციალური საფარი, უნდა ხდებოდეს სამშენებლო მასალების ნაყარების ზედაპირების დანამვა, ნაყარი ტვირთების ტრანსპორტირებისას სატრანსპორტო საშუალებების ძარები ჰერმეტიკულად უნდა იყოს დაფარული.

ბოლო წლების მონაცემებით საქართველოში წყლის დაბინძურებამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო, წყლის დაბინძურება თანამედროვეობის ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა, იგი ადამიანის საქმიანობითაა გამოწვეული მინერალური სასუქები, პესტიციდები, (რომლებიც წვიმების დროს მიწდვრებიდან ირეცხება) სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები ხშირად ყოველგვარი გაწმენდის გარეშე ჩაედინება მდინარეებში, განსაკუთრებით დაბინძურებულია მდ. მტკვარი. მდინარე მტკვარში სანიაღვრე კანალიზაცია ყოველგვარი გაწმენდის გარეშე ჩაედინება, სამომხმარებლო კანალიზაცია კი მხოლოდ მექანიკური გაწმენდის (გაფილტვრა, მექანიკური გამოლექვის) შემდეგ ხვდება, ასევე პრობლემას წარმოადგენს რეკრეაციული ტბების დაბინძურებაც. საქართველოში ჯერ-ჯერობით გადაუჭრელ პრობლემად შეგვიძლია დავასახელოთ ნიადაგის დაბინძურება. ნიადაგის დაბინძურებას ყველაზე ხშირად იწვევს ბუნებაში დაყრილი ნაგავი. ზოგიერთი სახის ნაგავი მიწაში ადვილად იხსნება, ლპება და არ წარმოადგენს ძალიან დიდ საფრთხეს ბუნებისათვის, თუმცა პოლიეთილენის პარკები და პლასტმასის ბოთლები, რომლებიც ყველაზე ხშირად გვხვდება ნაგვის სახით ბუნებაში, წლების განმავლობაში რჩება ნიადაგში და იწვევს მის დაბინძურებას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოში არსებული ფუნქციური ნაგავსაყრელების საერთო რაოდენობა არის 63, ხოლო მათგან მხოლოდ ორია სანიტარული ნაგავსაყრელი, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. გარდა ამ ოფიციალური მაჩვენებლისა ქვეყნის ტერიტორიაზე ასევე ვხვდებით უკანონო ნაგავსაყრელებსაც (შათირიშვილი, 2012).

ქალაქების სიმწვანის კოეფიციენტს მსოფლიოში სხვადასხვა ორგანიზაციები ზომავენ. ამ მიმართულებით ერთ-ერთი კვლევა SIEMENS-ის ჯგუფმა ჩაატარა (მწვანე ქალაქის ინდექსი). კვლევის ავტორებმა ქალაქები მაცხოვრებელთა რაოდენობის და ფართობის სიდიდის მიხედვით შეარჩიეს და ინდიკატორი შეიმუშავეს, რომელიც ქალაქის სიმწვანეს დაახლოებით 30 მაჩვენებლის მიხედვით ზომავს. ინდიკატორი CO₂-ის გამოყოფას, ენერგეტიკას, შენობებს, მიწათსარგებლობას, ტრანსპორტს, წყალს და სანიტარიას, ნარჩენების მართვას, ჰაერის დაბინძურების დონეს და გარემოს დაცვას მოიცავს. თუმცა, კონკრეტულად რამდენია ერთ სულ მოსახლეზე სიმწვანე ქალაქში, არ აღიწერება. (SIEMENS, 2012), არსებობს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაცია, თუ რამდენი უნდა იყოს ქალაქში გამწვანება ერთ სულ მოსახლეზე – სულ მცირე 9 მ².

თბილისში ერთ სულ მოსახლეზე გამწვანების კოეფიციენტს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციის მიხედვით თუ განვიხილავთ, შეიძლება ითქვას, რომ თბილისის გამწვანების მაჩვენებელი, რომელიც 4-5 მ²-ს არ აღემატება, ძალიან დაბალია. (ელისაშვილი, 2016)

საქართველოს პარლამენტის აპარატის კვლევითი დეპარტამენტის მიერ მომზადებული დოკუმენტის მიხედვით, ევროპის საბჭოს 31 ქვეყნის დიდ ქალაქებში გამწვანების საშუალო მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე 35.5 მ²-ია. (საქართველოს პარლამენტი, 2014)

გამწვანების კოეფიციენტის მიხედვით მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში ყველაზე გამწვანებულ ქალაქად ვენა ითვლება, სადაც ერთ სულ მოსახლეზე 120 კვ.მ სიმწვანე მოდის. 66 კვ.მ-ია ეს მაჩვენებელი სინგაპურში, სტოკჰოლმში – 87.5 კვ.მ, ამსტერდამში – 45.5 კვ.მ, ლონდონში – 27 კვ.მ, სტამბულში 6.4 კვ.მ. სიმწვანის მაჩვენებელი ყველაზე დაბალია ტოკიოსა და ბუენოს-აირესში – 1.9-3 კვ.მ. (LIVEABLE CITIES: HOW MUCH GREEN SPACE DOES YOUR CITY HAVE?)

თბილისის გარემოსდაცვითი სტრუქტურა და მექანიზმები

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველი გარემოსდაცვითი სახელმწიფო პროგრამა, რომელიც საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა და საქართველოს პრეზიდენტმა დაამტკიცა (2000 წელს) ითვალისწინებდა გარემოსდაცვითი ღონისძიებების

განხორციელებას 2000-2004 წლების პერიოდისთვის. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავება და დახვეწა. დღესდღეობით გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო არის გარემოსდაცვით საკითხებზე მთავარი სახელმწიფო ორგანო, რომელიც საზოგადოებასთან ურთიერთობის კუთხით უზრუნველყოფს საზოგადოებისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათ მონაწილეობას, განათლებისა და ცნობიერების დონის ამაღლების ხელშეწყობას. 2014 წლის მდგომარეობით, საქართველოს მიერ გარემოს დაცვის სფეროში რატიფიცირებული საერთაშორისო მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან, სამინისტრო კოორდინაციას უწევს 15 საერთაშორისო გარემოსდაცვითი კონვენციის, მათი 5 ოქმის და 3 შეთანხმების განხორციელებას. სამინისტრო ასევე ახორციელებს გარკვეულ ქმედებებს და მონაწილეობს 8 საერთაშორისო გარემოსდაცვითი კონვენციისა და ოქმის ეგიდით მიმდინარე ღონისძიებებში, რომელთა მხარეც საქართველო ჯერ არ არის. (გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, 2016)

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო საზოგადოების ინფორმირების მიზნით 3 წელიწადში ერთხელ წარმოადგენს საქართველოს გარემოს მდგომარეობის შესახებ არსებული ინფორმაციის შემაჯამებელ დოკუმენტს - ეროვნულ მოხსენებას, რომელშიც ასახულია ქვეყნის გარემოსდაცვითი პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები. მოხსენებაში წარმოდგენილია ინფორმაცია გარემოს თვისებრივი მდგომარეობის, საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით მიმდინარე გარემოსდაცვითი საქმიანობის შედეგების თაობაზე, ასევე გაანალიზებულია ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის გარემოზე ზემოქმედება.

საქართველოს კანონში გარემოს დაცვის შესახებ ერთმნიშვნელოვნად გაწერილია ყველა დეტალი, რაც ხელს უწყობს გარემოს დაცვას და წარმოდგენილია სახელმწიფოსა და მოქალაქეების ორმხრივი ვალდებულებები: ერთი მხრივ, სახელმწიფომ უნდა "უზრუნველყოს გარემოს დაცვა და რაციონალური ბუნებათ სარგებლობა, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად და ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით;" მეორე მხრივ, თითოეულმა მოქალაქემ უნდა დაიცვას საქართველოს

კანონმდებლობის მოთხოვნები გარემოს დაცვის სფეროში, გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს, იზრუნოს გარემოს დაცვაზე. (საქართველოს პრეზიდენტი, 1996)

საკანონმდებლო რეგულირების თვალსაზრისით, 2015 წლის 15 იანვრიდან ძალაშია "ნარჩენების მართვის კოდექსი", რომელიც არეგულირებს მთელ რიგ საკითხებს, რომელთა მიზანია: "ნარჩენების მართვის სფეროში სამართლებრივი საფუძვლების შექმნა ისეთი ღონისძიებების დანერგვისათვის, რაც ხელს შეუწყობს ნარჩენების წარმოქმნის პრევენციას და ხელახალი გამოყენების ზრდას, ნარჩენების გარემოსთვის უსაფრთხო გზით დამუშავებას და მის უსაფრთხო განთავსებას" (საქართველოს პარლამენტი, 2014).

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებაში ყურადღება გამახვილებულია გარემოს დაცვა წამოადგენს, სწორედ ამიტომ, "ნარჩენების მართვის კოდექსის" ამოქმედება ამ თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია. საქართველომ აღნიშნულ შეთანხმებაზე ხელმოწერით, ევროპული სტანდარტების დანერგვის მიზნით, აიღო სხვადასხვა სფეროს რეგულირების ვალდებულება, ახალი კანონის მიღება კი ერთ-ერთი ნაბიჯია ამ მიზნის მისაღწევად. საკანონმდებლო რეგულირება, პრობლემების მოგვარების ერთ-ერთი პირველი ეტაპია, თუმცა რეალური შედეგის მისაღწევად მთავარია კანონის შემდგომი იმპლემენტაცია, რაც პირველ ფაზასთან შედარებით გაცილებით ძნელია.

თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის განცხადებით არსებობს 2015 წელს შემუშავებული გარემოს დაცვითი სტრატეგია, რომელიც 2016 წელს დაამტკიცა საკრებულომ, ეს არის მერიის ზოგად დაცვითი სტრატეგია რომელიც უნდა განახორციელოს მთლიანად მერიამ და მერიის სამსახურებმა, რომელშიც ყველა სამსახური უნდა იყოს ჩართული, გაკეთებულია სამოქმედო გეგმა, რომელიც ბიომრავალფეროვნების კომპონენტს ეხება, ასევე სხვა სამსახურებსაც ევალებათ გააკეთონ სამოქმედო გეგმა. მერიის წარმომადგენლების თქმით, ეკოლოგიის და გამწვანების სამსახურს თავის ფუნქციებში უწერია მხოლოდ გამწვანების საკითხის რეგულირება, რაც მინიმალისტური პოზიციაა. თუმცა ამავე წარმომადგენლების თქმით, მერიამ გააკეთა რეორგანიზაციის გეგმა, რომელიც 2017 წლის იანვრიდან უნდა ამოქმედდეს. რეორგანიზაციის გეგმა გაგზავნილია ყველა დაინტერესებულ მხარესთან და თბილისის მთავრობამ უნდა დაამტკიცოს. გარემოსდაცვით სტრატეგიას სჭირდება ბიუჯეტზე მიბმული სამოქმედო გეგმა და ეს ხელს შეუწყობს ქალაქის მართვის ინტეგრირებული მოდელის შექმნას. თუმცა თავად მერიის

წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ გარემოს დაცვა მნიშვნელოვანია, თუმცა ქვეყნისა და ქალაქის პრიორიტეტებში, მძიმე სოციალური ფონის და სხვა მრავალი საჭირობო საკითხის გამო, მაინც უკანა პლანზეა.

ბუნებრივ გარემოსთან დაკავშირებული კონფლიქტები გარემოს დამცველებსა და ქალაქ თბილისის მერიას შორის

ექსპერტული ინტერვიუების ჩატარების შედეგად გამოვლინდა, რომ გარემოს კონფლიქტებზე მერიის სამსახურებში და ზედამხედველობის სამსახურში არ საუბრობენ. განსხვავებით გარემოს დამცველებისაგან, მერიის სამსახურის წარმომადგენლები სამოქალაქო სექტორთან დაპირისპირებას კონფლიქტურს არ უწოდებენ, მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტების არსებობაზე მედია საშუალებებში ასახული მასალებიც გვიდასტურებს ((საზოგადოებრივი მაუწყებელი, 2017), (Guardian.ge, 2015), და სხვ.). გარემოს დაცვის სამსახურშიც მიესაღმებთან გარემოსდამცველების მხრიდან ჩასაფრებული პოზიციას, საპროტესტო აქციებს, თუმცა ფორმების დახვეწისაკენ მოუწოდებენ მათ. ურთერთდაპირისპირებების შესახებ ექსპერტი აღნიშნავს - „ყველა ქვეყანაში არის [გარემოსთან დაკავშირებული პროტესტები. მ.მ.] და აქაც გვხვდება. ყველას აქვს გამოხატვის უფლება. რაც უფრო აქტიური იქნება სამოქალაქო სექტორი, ქვეყნის მთავრობა მით უფრო იქნება ფხიზელი.“

გარემოს დაცვის საჯარო სამსახურებთან არსებულ კონფლიქტებზე ღიად საუბრობენ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები. არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივის“ წარმომადგენლები თავიანთ როლს მყევარე ძაღლის ფუნქციის განხორციელებაში ხედავენ, რათა ზედამხედველობა გაუწიონ და აკონტროლონ საჯარო სამსახურების მიერ განხორციელებულ ქმედებები. ამ ორგანიზაციის აქტივისტები აღნიშნავენ, რომ მათ მუდმივი ბრძოლა აქვს მერიასთან, რათა აიძულოს მათ მოსმენა. თუმცა აქვე მიუთითებენ, რომ ხშირ შემთხვევაში მერია უპასუხოდ ტოვებს მათ წერილებსა თუ შენიშვნებს. მერიის მხრიდან კონფლიქტებში გავრცელებული ტექნიკის – იგნორირების – გამოყენება იწვევს იმას, რომ გარემოსდამცველები მერიის სამსახურთან ურთიერთობის ერთადერთ სწორ გზად აქციებს მიიჩნევენ, რათა აღკვეთონ გარემოზე არასწორი ზემოქმედება. სწორედ ამიტომ ხშირად მათი დემონსტრაციები სპონტანურ ხასიათს ატარებს და რომელიმე კონკრეტული ღონისძიების განხორციელების წინააღმდეგ არის მიმართული.

ამ სპონტანურ პროტესტებს როგორც წესი საფუძვლად უდევს მერიის მხრიდან გადადგმული არასწორი ნაბიჯები.

მოდრაობა „პარტიზანი მებაღეების“ წარმომადგენლები თვლიან, რომ მერიასთან მათ კონფლიქტს იწვევს მათი მხრიდან გარკვეულ პასუხისმგებლობებზე თავის არიდება ან ერთპიროვნული გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც მოულოდნელი და მიუღებელია საზოგადოებისათვის. მსგავსი კონფლიქტის თავიდან არიდება კი შესაძლებელია გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფით. სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები საუბრობენ, რომ ასევე მნიშვნელოვანია ის ხარჯები, რომლის გაღებაც უწევს მერიას ამ დაპირისპირებების არსებობის გამო. მათ მაგალითად მოჰყავთ მშენებლობის შეჩერება ვაკის პარკში, რომელიც სასამართლომ შეაჩერა და მერია აპროტესტებს: „თუ სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დარჩა, მერიას მოუწევს კომპენსაციის გადახდა, რაც საკმაოდ დიდ თანხებთანაა დაკავშირებული“.

კვლევის პროცესში წავაწყდით გარემოსთან დაკავშირებული საკითხების გარშემო გადაწყვეტილებების მიღების შესახებ კომპეტენციების გაუმიჯნაობას. ზედამხედველობის სამსახურის განცხადებით, მათ პრეროგატივაში შედის რეაგირება მხოლოდ ცხელ ხაზზე შემოსულ ზარებზე. თავიანთ ვალდებულებებს ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენელი ასე აღწერს: ცხელ ხაზზე შემოსულ განცხადებასთან დაკავშირებით, სამსახურის წარმომადგენლები მიდიან ადგილზე, აღწერენ მდგომარეობას და ინფორმაციას უგზავნიან გარემოს დაცვის სამინისტროს, რომელიც გასცემს ნებართვას და ამოწმებს რამდენად კანონზომიერად ხორციელდება პროცესი. შემოწმების შემთხვევაში თუ კანონდარღვევა გამოვლინდა, გარემოს დაცვის სამინისტრო განსაზღვრავს სანქციებს. მიუხედავად ექსპერტების მიერ მოცემული განმარტებისა, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულებაში ვკითხულობთ: „თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები და სამართალდამრღვევთა მიმართ გამოიყენოს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომები“, ასევე „საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მოახდინოს უკანონოდ მოპოვებული მწვანე ნარგავების, ასევე სამართალდარღვევის საგნის და იარაღის კონფისკაცია“, „გამოსცეს აქტი

მშენებლობადამთავრებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ან ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ“ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო, 2016).

ზედამხედველობის სამსახურში ზედა რგოლებთან კომუნიკაციის პრობლემებზე საუბრობენ. ჩვენ კითხვებზე პასუხის მისაღება – თუ რამდენად ხდებოდა ქ. თბილისში კანონდარღვევით ხის მოჭრა ან მშენებლობის განხორციელება – ზედამხედველობის სამსახურმა გარემოს დაცვითი სამსახურში და არქიტექტურის სამსახურში გადაგვამისამართა. არქიტექტურის სამსახურმა თავიდან ოფიციალურ წერილზე უარი განგვიცხადა: „თქვენი კითხვები გარემოს დაცვასთან დაკავშირებით სცილდება თბილისის არქიტექტურის სამსახურის კომპეტენციას, დიდწილად შეეხება ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის საქმიანობის სფეროს.“ თბილისის ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურის დებულებაშიც ვალდებულებები გაწერილია შემდეგი ფორმით: „თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები და სამართალდამრღვევთა მიმართ გამოიყენოს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომები“ ასევე „საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მოახდინოს უკანონოდ მოპოვებული მწვანე ნარგავების, ასევე სამართალდარღვევის საგნის და იარაღის კონფისკაცია“ „გამოსცეს აქტი მშენებლობადამთავრებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ან ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.“ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო, 2014) იქედან გამომდინარე, რომ ჩვენი მიზანი გარემოს დაცვაზე კონტროლი და ამ პროცესის რეგულირება იყო, შესაბამისად „პასუხისმგებელ პირთა“ ძიება ამ მიმართულებით შევწყვიტეთ.

მოდრაობა „პარტიზანი მებაღეების“ განცხადებით მერია ნებართვებს მარტივად გასცემს და მწვანე საფარსაც დიდად არ უფრთხილდება. რაც შეეხება დაავადებებსა და მავნებლებს, ეს ბევრად მასშტაბური და რთულად მოსაგვარებელი პრობლემაა, ვიდრე უკანონო ჩეხვა. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ისინი მუდმივ მონიტორინგს, შეწამვლას (უარეს შემთხვევაში ხის მოჭრას), ძველი ხეების ახლით ჩანაცვლებას და დიდ ყურადღებას საჭიროებენ - რაც დიდ ხარჯებთანა არის დაკავშირებული. ეს მუდმივი პროცესია და ერთჯერადი სახე ვერ ექნება. მით უმეტეს ისეთ ეკოლოგიურად დაბინძურებულ გარემოში, როგორშიც დღეს თბილისი და არამარტო თბილისი იმყოფება.

სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები ბევრს საუბრობენ თბილისში არსებულ მძიმე ეკოლოგიურ მდგომარეობაზე: ჰაერის ტოქსიკური ნივთიერებებით გაჯერებაზე და მწვანე საფარის გაჩეხვაზე: „ბუნებრივი რესურსის გაჩანაგება გაუმართლებელია, რასაც თავისუფლად შეგვიძლია ვუწოდოთ ხეების კომერციული ჭრა. აქედან ერთი მხრივ სარგებლობას სახელმწიფო ღებულობს, იმ კანონის წყალობით, რომელიც ნებისმიერ მოქალაქეს ფულის გადახდის სანაცვლოდ ხის მოჭრის უფლებას აძლევს; ხოლო მეორე მხრივ, სარგებელს იღებენ მოჭრილი ხეების ადგილზე აშენებული მრავალსართულიანი ბინების, კომერციული ფართების, თუ საწარმოების მფლობელები. სწორედ ასეთი მშენებლობების გამო შემცირდა მწვანე საფარი იპოდრომის მიმდებარე ტერიტორიაზე სადაც უპრეცედენტო რაოდენობის ხე მოიჭრა, მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების აშენების გამო. პარადოქსია, როდესაც პროექტს უწოდებენ მწვანე ქალაქს (Green City), როდესაც მისი აშენების გამო ათობით ხე მოიჭრა.“

გარემოს დამცველები ასევე აკრიტიკებენ ხეების ჯიშების ჩანაცვლების ტენდენციას. მათი თქმით, ხეები, რომლებიც ბოლო პერიოდში იჭრება არის ჭადარი, ნეკერჩხალი, ცაცხვი, რომლებიც ქალაქისთვის შემთხვევით არ არის შერჩეული. ისინი დიდი ოდენობით მძიმე მეტალებს, გამონახობლქვს და მავნე ნივთიერებებს შთანთქავენ. ამდენად, ურბანული დასახლებებისთვის და დიდი ქალაქებისთვის ოპტიმალური სახეობებია. მათ ფუნქციას ახალდარგული დეკორატიული ხეები ვერ შეასრულებს.

გარემოს დაცვის საკითხების დაურეგულირების პრობლემა ვლინდება საკანონმდებლო დონეზე. საქართველოში წლების განმავლობაში არ არსებობდა კანონი ან მუხლი, რომელიც მშენებლებს რომელიმე ტერიტორიაზე ხეების გაჩეხვას აუკრძალავდა. ამ მხრივ არც ახლა არის სახარბიელო მდგომარეობა. სამშენებლო ნებართვების გაცემა ხდება გამონაკლისის გარეშე, რასაც მივყავართ აღნიშნულ შედეგამდე. ყოველივე ამის რეგულაციას სწორედ კანონი უნდა ახორციელებდეს. აუცილებელია, რომ თითოეული განაცხადი, რომელსაც პირი შეიტანს კონკრეტულ ტერიტორიაზე ხეების მოჭრის ნებართვის შესახებ, იყო სწორად განხილული კომპეტენტური პირების მიერ. არ უნდა განვიხილოთ მხოლოდ ის, თუ რა სარგებელს მოგვიტანს აღნიშნული ქმედება, უნდა გავითვალისწინოთ მძიმე შედეგები და რისკები, რაც ბევრად აღემატება ნებისმიერ სარგებელს.

არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივის“ განცხადებით სახელმწიფოს არ გააჩნია დეკლარირებული გარემოს დაცვითი პოლიტიკა, აქვს მხოლოდ გარკვეული სტრატეგიები და დოკუმენტები, მაგრამ ერთობლივი ფართო პოლიტიკა არ არსებობს. მწვანე ალტერნატივას ასევე აქვთ მწვავე საკითხებზე რეაგირების სქემები. მათი თქმით მერიის მიერ შემუშავებული სტრატეგიები მხოლოდ თაროზე იდება. „მწვანე ალტერნატივა“ ითხოვს პროცესის დანერგვას, რომელიც გულისხმობს გადაწყვეტილების მიღებაში საზოგადოების ჩართულობას, რაც არსებობდა 2005 წლამდე, ხოლო დღეს-დღეობით არ არსებობს. მათი აზრით, უმჯობესი იქნებოდა გარკვეული პერიოდულობით ანგარიში გაეკეთებინა მერიას სამოქალაქო სექტორთან და წარედგინა მომდევნო მოკლევადიანი გეგმები. უნდა მოხდეს სამოქალაქო სექტორის ჩართულობა გარემოს დაცვის, პრივატიზაციის, მიწის და ენერგეტიკული საკითხებთან დაკავშირებულ საკითხთა განხილვაში.

გარემოს დამცველების აზრით, სახელმწიფო არაეფექტურ და ნაკლებად ინტენსიურ საქმიანობას ეწევა, ერთ ერთი რესპოდენტი აღნიშნავს [რაღაცეები ნამდვილად კეთდება, მაგალითად ადრე თუ კვიპაროსებს რგავდნენ, ახლა დიდი ნარგავების დარგვა დაიწყეს, თუმცა სახელმწიფოს ჩართულობა არასაკმარისია] რასაც თავიანთ აქტიურობას მაიწერენ, ამსთანავე ნაკლებად ეფექტურს უწოდებენ გარემოს დაცვის სახელმწიფო პოლიტიკასაც. ინსტიტუციები სათანადოდ ვერ ასრულებენ თავიანთ ფუნქციას. რაც შეეხება კანონმდებლობას, მნიშვნელობა არ აქვს რა წერია კანონში, ფაქტია, რომ მთავარი სადავე-აღსრულების საკითხი არაეფექტური და უძლურია.

ექსპერტის აზრით, ხშირად მერიასა და გარემოს დამცველთა შორის არსებობს დაპირისპირება, რომელიც ხშირად პოლიტიკურ ელფერს იძენს. მისი მოსაზრებით, რაც უფრო მეტი არასამთავრობო თუ ადამიანი იქნება ჩართული, მით უფრო უკეთეს შედეგს მივიღებთ. ის თვლის, რომ აუცილებელია ადამიანთათვის ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება რაც გამოიწვევს კონფლიქტის მოგვარებას, გადაჭრის გზად ასევე უნდა მივიჩნიოთ გადაწყვეტილების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობაც, რომლებმაც შემდეგ უნდა გაუწიოს მონიტორინგი სამთავრობო სტრუქტურების მუშაობას.

გარემოსდაცვითი პოლიტიკა შემუშავებულია და მასზე ხშირად ხდება აპელირება პოლიტიკოსების მიერ, თუმცა ყურადღების გამახვილება არ ხდება მნიშვნელოვან პუნქტებზე. კონფლიქტოლოგის აზრით ქალაქში უფრო მძიმე ვითარებაა და ქალაქის

მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს - გამონაბოლქვი, ხის საფარის განადგურება, „უადგილო“ მშენებლობები ყოველგვარი წესების დაცვით. ასევე აღნიშნავენ, რომ არ ხდება გარემოს განახლება, და ასევე რაც მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა გარემოს საკითხებში არ ისახება, თვითოეული ჩვეთაგანი ვალდებულია ჩაერთონ გარემოს დაცვის საკითხების მოგვარების პროცესში. არსებული მონაცემებით ყველაზე რთული მდგომარეობა არის თბილისში. თუნდაც ახლანდელი თბილისის რუკა რომ შევადაროთ ძველ რუკას, ადვილად შევამჩნევთ შემცირებულ გამწვანებულ ტერიტორიებს. ქალაქს ასევე ვნებს არაჯანსაღი საწვავი, რომელსაც მოიხმარს თბილისის მოსახლეობა, სადაც არც თუ ისე ცოტა ტრანსპორტია. მისი თქმით, არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემაა არაეკოლოგიური საკვები პროდუქტები, რომელზეც არ ხორციელდება კონტროლი, სახელმწიფო იხსნის პასუხისმგებლობას და ჯოხს კერძო კომპანიებზე ტეხს.

თბილისში გამწვანების მხრივ მდგომარეობა რომ გაუმჯობესდეს, რამდენიმე ძირითადი მიმართულების გათვალისწინებაა საჭირო. ქალაქში უნდა გაჩნდეს ორგანიზებული გამწვანება, ბაღები და პარკები, რომლებიც რაც შეიძლება დიდ ტერიტორიას უნდა მოიცავდეს. არქიტექტორებმა უფრო მეტი ძალისხმევა უნდა ჩადონ ეზოების დაგეგმარებაში, ჩართონ ლანდშაფტური არქიტექტურის სპეციალისტები. სახლისთვის მხოლოდ ფასადი კი არ უნდა იყოს მნიშვნელოვანი, არამედ შიდა ეზოების გამწვანებაც. მწვანე ნარგავების გადარჩენის საქმეში მნიშვნელოვანია თავად მოსახლეობის მონაწილეობაც. საჭიროა გამოიყოს ახალი ტერიტორიები. თბილისში ძალიან ბევრი არქიტექტურული ძეგლია, მაგრამ არცერთი არ არის ლანდშაფტური არქიტექტურის ძეგლი. მსგავსი სტატუსი რომ შეიძინოს, ამას საფუძველი დღეს უნდა ჩაეყაროს. ეს თბილისს კიდევ უფრო დაამშვენებს და ქალაქის ერთ-ერთი სავიზიტო ბარათი გახდება. საჭიროა ერთობლივი ძალისხმევა და სპეციალისტების დახმარება, რათა თავიდან ავიცილოთ მძიმე პრობლემები და ერთად გავხადოთ თბილისი ეკოლოგიური ქალაქი.

დასკვნა

ქალაქ თბილისისა ხელმძღვანელობასა და რიგი არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის კონფლიქტის ანალიზმა გვიჩვენა შემდეგი: ჩვენ მიერ შესწავლილი ორგანიზაციები

ნაკლებად არიან დაკავშირებული მოსახლეობასთან, რომლის სახელით ისინი იყენებენ გარემოს დაცვის პრობლემატიკას ხელისუფლების ორგანოების ზეწოლის საბაზდ. ასევე გამოიკვეთა საკმაოდ წინააღმდეგობრივი პოზიცია, როდესაც ამ ორგანიზაციებს სურთ იმოქმედონ მოსახლეობის სახელით, მაგრამ ამავე დროს პასუხისმგებლობას უშუალო ურთიერთობაზე აკისრებენ მართვის ორგანოებს.

გარემოს დაცვა მათთვის არის პრიორიტეტული, მაგრამ ძირითადად გამოიყენება, როგორც ინსტრუმენტი ქალაქის ხელისუფლებასთან კონფლიქტის შესაქმნელად. დაპირისპირება ქალაქის ხელმძღვანელობასთან ამ ორგანიზაციებისთვის არ არის იმდენად განპირობებული კონკრეტული გარემოს დაცვითი მიზნებით, არამედ სურვილით არ მისცენ ამ ხელმძღვანელობას „მოსვენების“ საშუალება. ეს ორგანიზაციები ფორმალურად აცხადებენ მიზნებს, რომლთა მიღწევა საჭიროა გარემოს დაცვითი პრობლემების გადასაჭრელად (მაგალითად, მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდა) მაგრამ არ იღებენ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობას ამ ამოცანების გადასაჭრელად და არც ცდილობენ მათი მიღწევის კონკრეტული მექანიზმების შექმნას. თავის მხრივ ქალაქის ხელმძღვანელობა ფორმალურად აცხადებს მზადყოფნას ითანამშრომლოს ესეთ ორგანიზაციებთან, მაგრამ არ გააჩნია კონკრეტული მექანიზმები და საშუალებები მათთან ურთიერთობისა. საბოლოო ჯამში დიალოგი ხელისუფლებასა და ჩვენ მიერ შესწავლილ არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის კონსტრუქციულ ხასიათ ვერ ატარებს, როგორც ჩანს მხარეებს არ გააჩნიათ ასეთი დიალოგის ორგანიზაციის კონკრეტული მექანიზმები და საშუალებები, ხოლო ქალაქის ხელისუფლების მხრიდან ამის სურვილიც ნაკლებად ჩანს.

Bibliography

<http://opinion.civil.ge/publications/275>. (2015 წლის 14 3). დაბრუნებული 2016 წლის 19 12, Opinion.civil.-დან

factcheck.ge. (თ. გ.). <http://factcheck.ge/wp-content/uploads/2016/11/danarthi-1.-.pdf>.

Guardian.ge. (2015 წლის 27 აპრილი). თბილისში, თამარაშვილის ქუჩის #13-ში მცხოვრებლები მრავალწლიანი ხეების მოჭრას აპროტესტებენ. თბილისი, საქართველო. დაბრუნებული <http://guardian.ge/2842-thbilisshi-thamarashvilis-quchis-13-shi-mckhovreblebi-mravaltsliani-kheebis-motcras-aprotesteben.html>-დან

<http://www.baharash.com/liveable-cities-how-much-green-space-does-your-city-have/>. (თ. გ.).
<http://www.baharash.com/liveable-cities-how-much-green-space-does-your-city-have/>.

http://www.who.int/hia/green_economy/indicators_cities.pdf. (თ. გ.).
http://www.who.int/hia/green_economy/indicators_cities.pdf.

SIMENS. (თ. გ.). SIMENS. დაბრუნებული
https://www.siemens.com/entry/cc/features/greencityindex_international/all/de/pdf/gci_report_summary.pdf-დან

ბიტ-ბაბიკოვი, ლ. (2015 წლის 20 მაისი). მოუგვარებელი ეკოლოგიური პრობლემები – რა აბინძურებს დღეს დედაქალაქს?! *The Tbilisi Times*.

გარემოსად და ბუნებრივი რესურსების დაცვი სამინისტრო. (2016). დაბრუნებული
<http://www.moe.gov.ge/ka>: <http://www.moe.gov.ge/ka>-დან

ელისაშვილი, ა. (2016 წლის 11 08). <http://factcheck.ge>. დაბრუნებული <http://factcheck.ge>-დან

საზოგადოებრივი მაუწყებელი. (2017 წლის 13 იანვარი). „პარტიზანი მეზაღეები“
ალექსანდრეს ბაღში წიწვოვანი ხის მოჭრისათვის გაცემულ ნებართვაზე ინფორმაციას
ითხოვენ". თბილისი, საქართველო. დაბრუნებული
<http://1tv.ge/ge/news/view/147209.html>-დან

საქართველოს პარლამენტი. (2014 წლის 26 დეკემბერი). *ნარჩენების მართვის კოდექსი*.
დაბრუნებული საქართველოს საკანონმდებლო მაცნე:
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2676416>-დან

საქართველოს პრეზიდენტი. (1996 წლის 10 დეკემბერი). დაბრუნებული <http://eiec.gov.ge/>:
<http://eiec.gov.ge/getfile/c60fcca1-d55c-44e2-8324-8da6479be7f8/>.aspx-დან

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო. (2014 წლის 22 დეკემბერი). *თბილისის
მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური*. დაბრუნებული
საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2643663>-
დან

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო. (2016 წლის 15 იანვარი). *ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულება*.
დაბრუნებული საქართველოს საკანონმდებლო მაცნე:
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3162538>-დან

შათირიშვილი, ი. (2012). "ნიადაგის დაბინძურება". *შემეცნების სამყარო*, 172.